№ 226 მთავრობის მოამგე

საქართველოს რესპუბლიკა

ოფიციალური გაზეთი

ნელიწადი მესამე

ფასი 10 მან. ხელშანგანი, ოქტომბრის 7 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. გახცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ხე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 100 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20% რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

სახელმწიფო თეატრი

7 ოქტომბერს 1920 წ.

სეპილიელი დალაქი

მონაწილეობენ: ბოიარსკაია, ოვსიანიკოვა, დროზდო-პოლიაევი, ისეკი, ერმოლენკო, ეზროვი, ქურხული.

8 ოქტომბერს 1920 წ.
ევგენი ონეგინი

9 ოქტომბერს 1920 წ. მუშებისათვის
დემონი

919 1—1 ოპერის დირექტორი ს. ი. ეგლახიშვილი.

ქალაქ ტფილისის გამგეობა ამით აცხადებს,

რომ 1920 წ. ოქტომბრის 8-ს დილით 12 საათზე, ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია (თვითმართ. შენობა, თავისუფლების მოედანზე)

საჯარო ვაჭრობა ქალაქის სასწორის იჯარით გასაცემათ

რომელიც მდებარეობს დესიმონოვის ქუჩაზე, 8 უბანში. პირობების გაცნობა და საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ქალაქის საიჯარო და საადგილ-მამულო განყოფილებაში ნაშუადღევის 2—3 საათამდე.

923 2—2 ქალაქის გამგეობა.

ქალაქ ტფილისის გამგეობა ამით აცხადებს,

რომ 1920 წ. ოქტომბრის 9-ს დილით 10 საათზე, ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია (თვითმართ. შენობა, თავისუფლ. მოედანზე)

საჯარო ვაჭრობა ქალაქის ერთი და ორი თვლიანი მაღაზიების იჯარით გასაცემათ

რომელიც მდებარეობს თავისუფლების მოედანზე, 3 უბანში. პირობების გაცნობა და საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ქალაქის საიჯარო და საადგილ-მამულო განყოფილებაში ნაშუადღევის 2—3 საათზე.

923 2—2 ქალაქის გამგეობა.

ქალაქ ტფილისის გამგეობა ამით აცხადებს,

რომ 1920 წ. ოქტომბრის 9 დილის 10 საათზე, ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია (თვითმართ. შენობა, თავისუფლ. მოედანზე)

საჯარო ვაჭრობა ქალაქის ერთ და ორ თვლიანი მაღაზიების იჯარით გასაცემათ

რომელიც მდებარეობს რუსთაველის ქუჩაზე № 10, 2 უბანი. პირობების გაცნობა და საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ქალაქის საიჯარო და საადგილ-მამულო განყოფილებაში ნაშუადღევის 2—3 საათზე.

923 2—2 ქალაქის გამგეობა.

გურიის სავაჭრო ბანკის გამგეობა

ქ. ლანჩხუთში

ამით აცხადებს რომ,

ლანჩხუთის საურთიერთო ნდობის საზოგადოება,

1920 წლის 26 სექტემბრიდან, თანახმად დადგენილებათა, საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებისა, 1920 წლის 2 მაისიდან და 1920 წლის 26 სექტემბრიდან, ერთის მხრით და გურიის სავაჭრო ბანკის აქციონერთა დამფუძნებელი კრების, 26 სექტემბრიდან 1920 წლ., მეორე მხრით, გადაკეთდა

გურიის სავაჭრო ბანკათ ქ. ლანჩხუთში 3.000.000 მანეთის ძირითადი სანაზით

და ამ უკანასკნელმა დაიწყო რა მოქმედება თანახმად ფინანსთა მინისტრის მიერ 1920 წ. 17 სექტემბერს დამტკიცებულ წესდებისა, მიიღო ყოფილი საზოგადოების აქტივი და პასივი ასევე უფლება-მოვალეობით. ამის გამო ყველას, ვისაც რაიმე ანგარიშები აქვს ყოფილ საზოგადოებასთან შეუძლია ეს ანგარიშები განაგრძონ **გურიის სავაჭრო ბანკთან.**

3005 3—1

ოფიციალური განყოფილება.

განკარგულებანი

საქართველოს სენატის თავმჯდომარისა

№ 31.

ინიშნება საქართველოს სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის იასაული თამარ გიორგის ასული გომელაურისა სენატის კანცელარიის მოხელედ. სამსახურისთვის იმავე დეპარტამენტში გადარიცხვით 1920 წლ. სექტემბრის 23-დან.

საქართველოს სენატის თავმჯდომარის
ამხანაგი **ი. ჯაფარიძე.**

მთავრობის საქმეთა მმართველობისა

4 ოქტომბერს 1920 წ. № 26.

მთავრობის საქმეთა მმართველობის მდივანი, ვლადიმერ ფირცხალავა განთავისუფლებულ იქმნას სამსახურიდან, თანახმად მისი თხოვნისა, ამა წლის ოთხი ოქტომბრიდან.

მთავრობის საქმეთა მმართველი **ჯაფარიძე.**

იუსტიციის მინისტრისა.

22 სექტემბერი, 1920 წ., № 337.

მოწვეულ იქმნას იუსტიციის სამინისტროს უწყების მოსამსახურეთა საჭიროებისათვის ექიმი ვასილ ივანეს ძე ბერეეიანი და მიეცეს მას გასამრჯელოდ სამინისტროს საკანცელარიო თანხიდან ძირითად ჯამაგირის სახით თვეში ოთხი ათასი მანეთი ამა წლის აგვისტოს 1 დან.

27 სექტემბერი, 1920 წ., № 346.

განთავისუფლებულია თანამდებობიდან და დათხოვნილია სრულიად სამსახურიდან ქ. ტფილისის მეექვსე უბნის ვამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელი ალექსანდრე გიორგის ძე ბათაშვილი ამა წლის სექტემბრის 26-დან.

28 სექტემბერი, 1920 წ., № 349.

განთავისუფლებულია თანამდებობიდან და დათხოვნილია სრულიად სამსახურიდან, თანახმად თხოვნისა ოჯახურ მდგომარეობისა გამო, ტფილისის საპყრობილეთა სადარაჯო ათასეულის უფროსი პოლკოვნიკი დავით ჭიჭინაძე ამა წლის სექტემბრის 28-დან.

28 სექტემბერი, 1920 წ., № 350.

დაევალოს: ტფილისის საპყრობილეთა სადარაჯო ათასეულის უფროსის თანაშემწეს პოლკოვნიკ ვასილ კვინიხიძეს ამავე ათასეულის უფროსის მოვალეობათა დროებით აღსრულება ამა წლის სექტემბრის 28-დან.

1 ოქტომბერი, 1920 წ., № 354.

გაუგრძელდეს შვებულება კანონთა გადამსინჯავ კომისიის წევრ ლაზარე ბეჟანის ძე შურლაიას ამა წლის ოქტომბრის 15-დე.

2 ოქტომბერი, 1920 წ., № 357.

განთავისუფლებულია თანამდებობიდან მომრიგებელ მოსამართლედ არჩევის გამო წალენჯიხის უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელი მიხეილ ლევანის ძე აფაქიძე ამა წლის ოქტომბრის 1-დან.

№ 358.

შვებულება მიეცეს ორი კვირის ვადით იუსტიციის სამინისტროში წარმოგზავნილ ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგს დიმიტრი ილიას ძე დიდებულიძეს ამა წლის ოქტომბრის 5-დან.

იუსტიციის მინისტრი **რ. არხენიძე.**

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

28 სექტემბრს, 1920 წ., № 273.

დაუბრუნდეს თავის მოვალეობის აღსრულებას სამინისტროს კანცელარიის უფროსის თანამდებობის დროებით აღმასრულებელი ვლადიმერ მიხეილის ძე ტკაჩევი-ახობაძე ამა წლის ენკენისთვის 28-დან.

№ 274.

განთავისუფლებულ იქნას სრულიად სამსახურიდან თანახმად თავის თხოვნისა საერთო კანცელარიის საქმის მწარმოებელი ფარნაოზ გრიგოლის ძე ბურჭულაძე ამა წლის ენკენისთვის 28-დან.

№ 274.

დაინიშნოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს კანცელარიის უფროსად პარმენ არჩილის ძე ჯაფარიძე ამა წლის ენკენისთვის 28-დან.

№ 277.

დანიშნულ იქნას სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციის ბუჰჰალტრად ამავე ექსპედიციის დროებით მოლარის თანაშემწე ვასილ ანდრიას ძე მჭედლიძე ამა წლის ოქტომბრის 1-დან.

№ 278.

დანიშნულ იქმნას დროებით სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციის მოლარის თანაშემწედ ავთანდილ ილიას ძე მერაბსშვილი ამა წლის ოქტომბრის 1-დან.

№ 279.

დანიშნულ იქმნას სახელმწიფო ქაღალდის დამმზადებელ ექსპედიციის კონტროლიორად იმავე ექსპედიციის ბუჰლალტერი შალვა ვლადიმერის ძე ანთაძე ამა წლის ოქტომბრის 1-დან.

№ 280.

დათხოვნილ იქმნას სრულიად სამსახურიდან სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციის კონტროლიორი რომან მიხეილის ძე გიორგაძე ამა წლის ენკენისთვის 16-დან.

№ 281.

დათხოვნილ იქმნას სრულიად სამსახურიდან თანახმად თავის თხოვნისა ქ. ფოთის აქციზის ინსპექტორის თანაშემწე კონსტანტინე შანიძე ამა წლის ენკენისთვის 30-დან.

№ 282.

დათხოვნილ იქნას სრულიად სამსახურიდან ტფილისის აქციზის ინსპექტორის უმცროსი თანაშემწე ალექსანდრე რაფიელის ძე ჭანკოტაძე ამა წლის ოქტომბრის 1 დან.

№ 283.

გამოირიცხულ იქნას სრულიად სამსახურიდან გარდაცვალების გამო ქ. ტფილისის აქციზის ინსპექტორის თანაშემწე მიხეილ კიკნაძე ამა წლის ენკენისთვის 10-დან.

№ 284.

დანიშნულ იქნას საბაჟო ნაწილის მდივნის თანამდებობის აღმასრულებლათ რაჟდენ იოსების ძე კანდელაკი ამა წლის 1-ლ ოქტომბრიდან.

№ 285.

დანიშნულ იქნას ტფილისის აქციზის ინსპექტორის უფროს თანაშემწედ ტფილისის თამბაქოს ქარხნის კონტროლიორი იოსებ ნიკოლოზის ძე ჯანელიძე ამა წლის ოქტომბრის 1-დან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი
ხ. აფალიანი.

ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის უფროსისა.

№ 16.

გამწესებულნი არიან: მოჰალაქე მიხეილ ჩობანაშვილი და ფოსტალიონები: პატარქალოვი იოსები და თათარაშვილი ლაზარე ფოსტალიონებათ: ჩობანაშვილი ბაშკ ჩეთში 420 მან. ძირითადი ჯამაგირით წელიწადში, პატარქალოვი ბორჯომში 600 მან. ჯამაგირით და თათარაშვილი გორის მაზრის ახალქალაქში 600 მან. ძირითადი ჯამაგირით წელიწადში.—ყოფილი მოხელეები: მიხეილ იმნაძე მეექვსე ხარისხის მოხელეთ წნორზედ და ლიუდმილა ხოხიაშვილისა მესამე ხარისხის მოხელეთ სოხუმში.—ხოხიაშვილი 24 მარტიდან, პატარქალოვი, ჩობანაშვილი და იმნაძე 26 მარტიდან, თათარაშვილი 1 აპრილიდან 1920 წელსა.

გადაყვანილი არიან: აწყურის განყოფილების ზედამხედველი ვლადიმერ ბეშკუროვი და მოხელეები: წნორის—ათანასე ჯალანდია, ქუთაისის მე-4 ხარისხის იოსებ გაბეხაძე და სამტრედიის სიმონ ლაპარტყავა იმავე წოდებებით: ბეშკუროვი—ახალციხეში, ლაპარ-

ტყავა—ბაბაშაში და კალანდია—წალენჯიხაში—გაბეხაძე ტფილისის ცენტრალურ ტელეგრაფში—ოთხავე 26 მარტიდან, ხოლო კალანდია, გაბეხაძე და ლაპარტყავა თანახმად ოხოვნებისა.

გამარიცხულია სიებიდან: მესამე ხარისხის მოხელე ჭიათურის კანტორისა ნიკოლოზ ნაკაიძე ოთხი თვის კანონიერ ვადაში სამსახურში გამოუცხადებლობის გამო 1920 წლის მარტის 13 დან.

სამმართველოს უფროსი **მგელაძე.**

არაოფიციალური განცხადებანი.

სამხედრო საქმისტროში

ბრძანება რესპუბლიკის ჯარების მიმართ.

პოლკოვნიკი აბესაძის მიერ თანახმად ჩემი ბრძანებისა ნაწარმოები კვლევა ძიებიდან გამოირკვა შემდეგი: ა. წ. აგვისტოს როცა გემ. „მერანით“ შვებულებაში უნდა გამგზავრებულიყო მე-2 ათასეულის ოთასამდე ჯარის კაცი, იმავე ათასეულის მაიორმა ლექვინაძემ მიიღო ცნობა, რომ რამოდენიმე ჯარისკაცმა გაიტაცა ათასეულიდან სახაზინო ნივთები სოფელში წასაღებად. მაიორი ლექვინაძე მყისვე გაეშურა ნავთსადგურისაკენ სამი ჯარისკაცისა და ერთი ლეიტენანტის თანხლებით, მან შეკრიბა გემზე მყოფი ჯარისკაცები და გამოუცხადა მათ: მე ვიცი, რომ ზოგიერთმა თქვენგანმა წაიღო ათასეულიდან ახალი სახაზინო ნივთები, რომელიც ძვირფასია აქ დარჩენილ ჯარისკაცებისათვის, ამიტომ გიბრძანებთ, აქვე ჩაგვაბაროთ აღნიშნული ნივთები. არავინ პასუხი არ გასცა. მაშინ მაიორმა ლექვინაძემ დაიწყო ჩხრეკა ჯარისკაცების ბარგისა და როცა შენიშნა ერთი ჯარისკაცი ფეხშიშველია დაეკითხა მას სად არის ფეხსაცმელიო და მისგან მიიღო პასუხი „არ მომცეთო“ გაუჩხრიკა ბარგი მას და იპოვა ორი წყვილი ახალი ხამლები (ბატინკები) და ორი ახალი მაზარა. ჩამოართვა ეს ნივთები და გაარტყა სილა. მეორე ჯარისკაცს, რომელმაც არ დაანება თავის ახალი ხამლები (ბატინკები) გახადა მას ძალით და ყუთის გაჩხრეკის შემდეგ მასაც უნახა ერთი წყვილი ახალი ხამლი, ჩამოართვა და სილა იმასაც გაარტყა. მესამე ჯარისკაცს ბარგში აღმოჩნდა სახაზინო კარავი და სილა იმასაც გაარტყა. მეოთხეს ყოფილ მეკეშნაგს გამოჩადა ერთი ფეთი შაქარი, რომელიც ჩამოართვა, მაგრამ არ უცემია, ვინაიდან ეს უკანასკნელი გამოჭყდა და ბოდიში მოიხადა. სულ მაიორმა ლექვინაძემ ჩამოართვა ჯარისკაცებს რვა წყვილი ახალი ხამლი, ექვსი ცალი ნაბადის მაზარა, კარავი და ერთი ფეთი შაქარი. ამპარად, მაიორმა ლექვინაძემ გამოიჩინა რა ერთის მხრივ დიდი ენერგია და სამსახურებლივი მოვალეობის ზედმიწევნით აღსრულების უნარი, რაც გამოიხატა დაცხვლეულს ნივთების ხახინისადმი დაბრუნებაში, მეორე მხრივ მან ვერ შესძლო მართებული სიმაღლეზე თავის დაჭერა და იმის მაგიერად, რომ ბოროტ-მოქმედნი ჯარისკაცები დაეჭირა და პასუხისგებაში მიეცა მან ისინი ცემა-ტყეპით გაისტუმრა სოფლისაკენ. რამდენადაც მაიორი ლექვინაძის პირველი საქციელი საქებია და მსაბაძი, იმდენათვე ბოლო მეორე საქციელი ჯარისკაცების მოქმედებით შეურაცყოფა—გასაკვირია, დასაგმობი და სასტიკად დასასჯელი, მაგრამ ვიღებ რა მხედველობაში მისი ხანგრძლივი სამსახურს და იმ უწარჩინებულეს ატესტაციას, რომელითაც მას ახასიათებს სამსახურებლივი თვალსაზრისით მისი უფროსი, ათასის თავი ამ შემთხვევაში, საკმარისად ვსცნობ მისთვის დისციპლინარულ სასჯელს. ვაპატიმრებ ლექვინაძეს ჯარისკაცების გალახვისათვის გაუფთვალტში ხუთი დღე და ღამით და მასთან ვაფრთხილებ მას, რომ თუ მან შემდეგში ასეთი სამარცხვინო და ადამიანის ღირსების დამამცირებელი საქციელი, კიდევ ერთხელ განიმეორა, იგი სრულიად დათხოვნილი იქნება სამსახურიდან და პასუხისგებაში მიცემული. ეს სასჯელი დაუყონებლივ მოიყვანოს სისრულეში ათასის თავმა. ათასის თავმა მიიღოს ზომები დაჭერილ იქნას დამნაშავე ჯარისკაცები და მიცემულნი პასუხის გებაში. გარდა ამისა ვბრძანებ: იქნას სახელმძღვანელოდ მიღებული და სრულის სიმტკიცით დაცული ბრძანება რესპუბლიკის ჯარების მიმართ № 131. ეს ბრძანება წაკითხულ იქნას გუნდებში და რიგებში.

ფინანსთა სამინისტროში

საბჭოთა შემოხვალი.

თანახმად ფინანსთა სამინისტროს ცნობებისა მიმდინარე ხარჯთაღრიცხვის წლის განმავლობაში თავდაპირველად საბჭო შემოსავალი 817.288 მანეთს არ აღემატებოდა. ამა წლის მარტში, როდესაც შემოსატან საქონელზე ახალი საბაჟო გადასახადი დაწესდა, შემოსავალი ორჯერ გაიზარდა. აპრილში შემოსავალმა 10 მილ. მან. მიაღწია, მაისში კი 11 მილ. მან. გადააჭარბა. ივნისში შემოვიდა 13 მილ. მან., ივლისში დაახლოებით 30 მილ. მან. და დასასრულ აგვისტოში საბაჟო გადასახადის სახით შემოვიდა 48.592.389 მან.

მეტრიულ სისტემის შემოღება.

ზომასა და წონის პალატამ ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს საქართველოში ზომის მეტრიულ სისტემის შემოღების შესახებ პროექტი წარუდგინა. პროექტში აღნიშნულია, რომ საქართველო დაუკავშირდა ევროპას, ამიტომ ვაჭრობა-მრეწველობის მხრივ საჭიროა საერთო ენის შემოღება, რომელსაც შეუძლია სხვა და სხვა ქვეყნებთან დამოკიდებულების შემსუბუქება. ამისათვის საჭირო საგნების დამზადება შეიძლება აქვე საქართველოში მხოლოდ ზოგიერთების გამოკლებით ამ სისტემის ცხოვრებაში გასატარებლად პალატას საჭიროდ მიაჩნია: 1) მიაწოდონ საზომის და სასწორის მეპატრონეთ მეტრიულ სახის გირები; 2) გამოიცეს საგანგებო გარდამავალი კანონები რათა რეფორმა უმტკივნეულოდ გატარდეს; 3) მოხდეს ხალხში აგიტაცია ახალ სისტემის შემოღების სასარგებლოდ. პალატა ახალ სისტემის შემოღებას 1921 წლის იანვრიდან სთვლის სასურველად. 1923 წლამდე ახალი რეფორმა საბოლოოთ უნდა იქნეს გატარებული ცხოვრებაში. ამიტომ უნდა გამოიცეს საგანგებო დროებითი წესები, რომლითაც დადგენილი იქნება, რომ 1923 წლიდან რუსული ზომა ხმარებაში აღარ იქნება.

საბჭოთა რუსეთში.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტო).

საგანგებო ცნობა.

ოქტომბრის 5 მოლოდეჩნოს რაიონში ჩვენმა ნაწილებმა ახალი პოზიციები დაიჭირეს. მდ. ნემანზე და მდ. უსას რაიონში ოქტ. 3 სასტიკი ომი სწარმოებდა. ვოლინის-ნოვგოროდის რაიონში მდ. სლუჩზე ჩვენი შეტევა სასურველად ვითარდება. ჩვენმა ჯარმა ბრძოლით ლეტიჩევი და სად. დერაჟნი აიღო. დერაჟნის სამხრეთ-დასავლეთით 20 ვერსტზე ბრძოლაა. ბერისლავის რაიონში მტრის მოწინავე რაზმები დავამარცხეთ, წამოვიყვანეთ ტყვეთ 47 ოფიცერი და 200-დე ჯარის კაცი. ხელთ ვიგდეთ 2 ზარბაზანი, 11 ტყვიის მფრქეველი, 250 თოფი და სხვა. მარიუპოლის რაიონში ჩვენი მოწინავე მარიუპოლში შევიდა.

ახალგაზრდა კომუნისტების ყრილობა.

სრულიად რუსეთის ახალგაზრდა კომუნისტთა მესამე ყრილობა. ყრილობის პირველ სხდომას 600 მეტი დელეგატი დაესწრო. პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ლენინმა. „კომუნისტურ ახალგაზრდობას მოელის შექმნა კომუნისტური საზოგადოებისა. ახალგაზრდობამ უნდა ისწავლოს გამუდმებით ძნელი ხელობა ახალი კომუნისტური წყობილების შექმნისა. ჩვენ წინ-განაგრძობს ლენინი დიდი მიზანია: ქვეყნის მეურნეობის აღდგენა და მისი გადახალისება, აღდგენა მრეწველობისა და მიწად-მოქმედების და ეს უნდა მოეწყოს თანახმად თანამედროვე მეცნიერების, ტექნიკისა და ელექტრონისა. თაობამ, რომელსაც მოუხდება ცხოვრება კომუნისტურ საზოგადოებაში თავის სწავლის მიზნები უნდა მიმართოს იქითკენ, რომ ყოველ დღე, ყოველ ქალაქში, ყოველ სოფელში შესძლოს მან გადასწყვიტოს პრაქტიკულად საერთო შრომის ამოცანა. როდესაც კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის 500.000 წევრი გააერთიანებს თავის მაგალითით მთელ კომუნისტურ ახალგაზრდობას, მაშინ მოქმედი კომუნისტურ საზოგადოებისა უზრუნველყოფილი იქნება. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ლუნაჩარსკიმ: „კარგი მუშა კარგი საქონელია, მაგრამ თუ იგი შეგნებული კომუნისტი მუშაკია, მაშინ ის ახალ ცხოვრების ნამდვილი შემქმნელია. კომუნისტური ოქრომ მარცვალი დაეცემა საუცხოვო ნიადაგზე, აღზრდის ახალ რევოლიუციონურ მებრძოლებს, რომლებიც განაგრძობენ თავის მოხუც ამხანაგების საქმეს. „აღმასრ. კომიტეტის სახელით ყრილობას მიესალმა ბუხარინი, რის შემდეგ პირველი სხდომა დაიხურა. ყრილობის მეორე სხდომაზე მოისმენეს ბუხარინის მოხსენება: „რესპუბლიკის სამხედრო და მეურნეობის მდგომარეობის“ შესახებ. მოხსენება დიდი გულდასმით მოისმინეს. კომუნის. „ტრუდი“ სწერს: ზაფხულის განმავლობაში ვრანგელმა ერთი მეორეზედ გადმოასხა დესანტი. დესანტი გავანადგურეთ. ყუბანი არც შენძრეულა. ახლა ყირიმის ბარონი სცდილობს გაიჭრას მახნოველებისაკენ და გადაკეტოს გზა ყუბანის და სტავროპოლის პურისაკენ, მოგვჭრას ნავთიდან და ხელთ იგდოს დონის ქვანახშირი. მაგრამ, რასაკვირველია, ეს არ განხორციელდება. ვრანგელი ვერასდროს ვერ იქნება როსტოვში, როგორც ვერ მოხვდა იგი ყუბანში. ვრანგელი რაც შეიძლება სისწრაფით უნდა დავამხვრიოთ, ვინაიდან იგი არღვევს სამხრეთის ეკონომიურ ცხოვრებას. დგება ზამთარი, თუ ვრანგელი არ იქნა დამარცხებული ზამთარში რუსის ხალხს სიცივისა და შიმშილის ატანა მოუხდება. შიმშილი და სიცივის თავიდან ასაშორებლად ჩვენ უნდა შევინახოთ კავკასიისაკენ მიმავალი გზები, ჩვენ უნდა მოვსპოთ ვრანგელი.

ვრანგელი უკანასკნელი იმედია.

ფრანგული გაზეთი „ჰუმანიტე“ სწერს: საბჭოთა რუსეთი პოლონეთთან ზავის ჩამოგდების შემდეგ ვრანგელს უნდა მიუბრუნდეს, ვრანგელის დამარცხებას კი მსოფლიო მნიშვნელობა ექნება, იგი გამოიწვევს საფრანგეთის იმპერიალისტების მთელი პოლიტიკის დამარცხებას. ფრანგი შავრაზმელები შიშით ელიან ზავის ჩამოგდებას. თუ ზავი ჩამოვარ., და ფრანგი იმპერიალისტები ყოველგვარად შეეცდებიან შეუშალონ ხელი ცხოვრებაში მის განხორციელებას და მოაწყონ გაზაფხულისათვის საბჭოთა რუსეთზე ახალი თავდასხმა. ფრანგული „სოციალისტური გაზეთი“ ამტკიცებს, რომ საფრანგეთის მთავრობა სცდილობს ჩაშალოს საზავო მოლაპარაკება რიგაში. საფრანგეთის პრემიერი მილიერანი სცდილობს ჩამოაგდოს შეთანხმება ფრანგელსა და პილსუდსკის შორის. პარიზში ქვლავ დაიწყო რუს შავრაზმელების თათბირები.

უცხოეთი

(საინფორმაციო ბიუროს ცნობები)

გერმანიის ჯარის რიცხვი.

გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობა, რომ სექტემბრის პირველს გერმანიის ჯარის რიცხვი 184000 კაცს არ აღემატებოდაო.

დახვრეტილთა ახალი სია.

პრავდაში გამოქვეყნებულია მოსკოვის ჩრეზვიჩაიკის დადგენილების თანახმად დახვრეტილთა ახალი სია. დაუხვრეტიათ სხვათა შორის წინასწარ განზრახვით მოპარულ პურის ყიდვისა და გაყიდვისათვის.

„პრავდას“ ცნობით საბჭოთა მეურნეობის მუშები ნახევრად დანგრეულ შენობებში სცხოვრობენ. ისინი დაგლეჯილ ფეხსაცმელებით დადიან. 14—16 წლიანები ხშირად დილიდან გვიან ღამემდი მუშაობენ. სკოლები საბჭოთა მეურნეობის ადგილებში და სოფლებში არ არსებობს. არაა აგრეთვე მასწავლებლებიც. მუშები ბნელ და ჭუჭყიან ბინებზე სცხოვრობენ. მუშაობენ მცირე წლოვანი ბავშვებიც. ამ ცნობებს ხელს აწერს საბჭოთა მეურნეობის მუშათა შრომის ინსპექტორი შერშოკი.

კამენევის წერილი.

„ტანი“ ბეკდავს ლონდონიდან მოსულ კორესპოდენციას რომელშიაც აღნიშნულია, რომ კამენევმა რუსეთში წასვლის წინ კონცორტის და ბრიტანეთის პარლამენტის, სხვა წევრებს, რომლებიც საბჭოთა რუსეთის მიმართ კეთილად არიან განწყობილნი, წერილი დაუტოვაო. კამენევი თავის წერილში სწერს: „ინგლისში ჩემი ყოფნის დროს დავრწმუნდი, რომ ინგლისის ხალხს სურს რუსეთთან საზავო დამოკიდებულების აღდგენა. ამიტომ წასვლის წინ მე მინდა აუხსნა ინგლისის საზოგადოებას მიზეზი ჩემი წასვლისა. ამტკიცებს ლოიდ-ჯორჯს, თითქოს მას არ სურს აწარმოოს რუსეთთან სავაჭრო მოლაპარაკება, სდებს მას ყოველ ბრალს და იგონებს ახალ მიზეზებს იმისას, თუ რატომ არ შედგა საზავო მოლაპარაკება. დასასრულ სავაჭრო მოლაპარაკებაც კი შესდგა იმ მოსაზრებით, რომ ბრიტანეთის მთავრობა ზედმეტად სთვლის საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკებას. ლოიდ-ჯორჯმა კამენევს ოთხი ბრალდება წაუყენა: 1) მონაწილეობის მიღება რუსეთის ძვირფასეულობის გაყიდვაში, 2) ფულის მიცემა "დეილი [illegible]“ 3) კავშირი მოქმედების კომიტეტთან, 4) პოლონეთისადმი წარდგენილ საზავო პირობის არა კეთილ სინდისიერათ გამოცემა. კამენევი თავის წერილში სცდილობს გამართლებას და კატეგორიულად აცხადებს, რომ მას არავითარი კავშირი არა აქვს ძვირფას ნივთების გაყიდვაში.

ლოიდ-ჯორჯის მონაწილეობა.

(რადიო). გაზეთების ცნობით ლოიდ-ჯორჯმა მონაწილეობა მიიღო გერმანიაში სურსათის გაგზავნის შესახებ გამართულ თათბირში. ეს თათბირი სპის კონფერენციის დადგენილების თანახმად მოხდა. ინგლისის გაზეთები იუწყებიან, რომ გერმანიისათვის სურსათის მიწოდების საქმე ანტანტის სახელმწიფოთა შორის თანასწორად იქნება განაწილებული.

ვრანგელის მოწოდება.

ვრანგელი მოუწოდებს თავის ბანდებში ყოფილ ოფიცრებს, რომლებიც საზღვარ-გარედ გაიქცენ. კონსტანტინოპოლში და პარიზში ხდება მათი მობილიზაცია.

საფრანგეთის მთავრობამ გადასწყვიტა შეავსოს პოლონეთის ჯარები და გააგზავნა მათთან სისხლის სამართლის დამნაშავეები. იმ დამნაშავეებს, რომლებიც ფრონტზე წასვლაზე უარს აცხადებენ ციხეში აგზავნიან.

ზავი ფინლიანდიასთან.

იურევი. ოქტ. 5. დღეს საღამოთი საზავო კონფერენციის სხდომაზე მიღებულ იქნა ფინლიანდიასა და რუსეთის საზავო ხელშეკრულების ყველა მუხლები.

შეთანხმება პოლონეთთან.

საზავო კონფერენციის წარმომადგენლობის თათბირმა ხელი მოაწერა შემდეგ ოქმს: რუსეთ-უკრაინის დელეგაციისა და პოლონეთის საზავო დელეგაციის თავმჯდომარეებმა ოქტომბრის 5-ის სხდომაზე დაადგინეს: ვინაიდან კონფერენციაზე ორივე მხარის წარმომადგენლებს შორის პრელიმინალურ ზავის მთავარ საკითხების შესახებ შეთანხმება მოხდა, მოაწერონ ხელი დროებით ზავს არა უგვიანეს ოქტ. 8 სა. ხელს აწერს რუსეთ-უკრაინის საზავო დელეგაციის თავმჯდომარე ტ. იოფე და პოლონეთის საზავო დელეგაციის თავმჯდომარე ი. დომბოვსკი.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

ფრანგული ცნობები.

ზავის ჩამოგდების იმედი.

პოლონეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვიტოსი თავის განცხადებაში, რომელსაც ტანი ბეკდავს, ირწმუნება: მიუხედავათ საბჭოთა მთავრობის მიერ მოულოდნელ პრეტენზიების გამოჩენისა, მაინც სრული იმედი გვაქვს ზავის ჩამოგდებისა.

ვერსალის ხელშეკრულება.

„ტანი“ იუწყება ჟორ ლეიგთან გერმანიის წარმომადგენელის მეიერის დარბაზობის დროს საფრანგეთის საგარეო მინისტრმა გულწრფელად განაცხადა, რომ იგი მიდიერანის გზით წავა. გერმანიის ელჩმა დაჟინებით გაუმეორა რამოდენიმეჯერ რესპუბლიკის პრეზიდენტს და საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ გერმანიის მთავრობამ გადასწყვიტა ყოველგვარათ ეცადოს სისრულეში მოიყვანოს ვერსალის ხელშეკრულებაო. თუ ასეთია დამოკიდებულება ოფიციალურ გერმანიისა,—საფრანგეთი ყოველ ზომებს მიიღებს, რომ ბერლინსა და პარიზსს შორის ნამდვილი ზავი არსებობდეს. იქ სადაც გერმანიის და საფრანგეთის ინტერესები ხვდება ერთმანეთს, ყოველი ფრანგი იცნობს ამ ინტერესებს.

საჭიროა მხოლოდ გერმანიამ გაიგოს, რომ რადგანაც იგია პასუხის მგებელი მომხდარ კატასტროფაში, ჩვენ ვერ გვაიძულებენ ვერც ეკონომიურ და ვერც სხვა თვალსაზრისით ისეთ გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც დიდ მსხვერპლს მოითხოვს საფრანგეთის მრეწველობიდან და რომელიც სასარგებლო იქნება მხოლოდ გერმანიის მრეწველობისათვის, რაც ხელს შეუშლის და შეაჩერებს საფრანგეთის აღდგენას და აყვავებას. საუბედუროდ გერმანიის პრესის უდიდეს ნაწილის მოქმედება არ არის ისეთი, რომ დაარწმუნოს საფრანგეთი გერმანიის კეთილ სურვილებში და მართლაც უსაძაგლესი ცილისწამება და საფრანგეთის მთავრობასა და ხალხის უშვერათ ხსენება არის ჩვეულებრივი თემა გერმანული ეურნალისტებისა, რომლებიც შეიძლება უპასუხისმგებლონი არიან, მაგრამ რომელნიც უეჭველად ქმნიან გერმანულ საზოგადოებრივ აზრს. ჯერ კიდევ გუშინ ჰინდენბურგის 73 წლის თავზე ჰამბურგში, ბერლინში და სხვიყო წარმოთქმული ირონიით სავსე სიტყვები, რომლებიც ადვიძებდენ სიძულვილს საფრანგეთისადმი და მოუწოდებენ მთავრობას არ მოეყვანა სისრულეში ვერსალის ხელშეკრულება. ძნელია ასეთ პირობებში გულწრფელი

ზავის ნიშნების აღმოჩენა, იმ ზავის, რომელიც თავის თავად უნდა არსებობდეს ორ ერს შორის ნორმალურ დამოკიდებულების აღდგენის დროს. და როდესაც ეხლავთ ულტიმატუმის გამომხატველ მანიფესტაციებს—ჩვენ არ შეგვიძლია ეკუ ვავდოთ უნდობლობა გერმანიის მიმართ, რომელიც ასე ოცნებობს შეუძლებელ რევანშზე.

ლიონს ცნობა.

შარლ ლორანის დაბრუნება.

ორშაბათს დილით პარიზს მოვიდა შარლ ლორანი, რომელიც საფრანგეთის ელჩადაა ბერლინში.

ფინანსიური კონფერენცია ბრიუსელში.

ორშაბათს კომისიამ თავის მუშაობა განაგრძო. საერთაშორისო ფინანსიურმა კომისიამ თავისი დასკვნები წარმოადგინა. სხვა კომისიებს თავის მოხსენებანი ჯერ-ეს არ წარმოუდგენიათ.

რუსეთი და ფინლიანდია.

დერპტიდან მიღებულ ოფიციალურ ცნობით ფინლიანდიასა და საბჭოთა რუსეთს ურთიერთ შორის სამშვიდობო ხელშეკრულება დაუდვიათ. ფინლიანდიის მოთხოვნა საზღვრების ნეიტრალიზაციის შესახებ საბჭოთა მთავრობამ მიიღო.

ლიტვა-პოლონეთის უთანხმოება.

როგორც იუწყებიან ოქტომბრის 2, ვარშავაში მოსულა ერთა ლიგის კომისია პოლონეთ-ლიტვის უთანხმოების გამოსარკვევათ. კომისიამ ინახულა პოლონეთის მთავრობა და სუვალში წავიდა. ამ კომისიაში დანიშნული იტალიის წარმომადგენელი ჯერ არ ჩამოსულა.

საჰაერო მიმოსვლა პარიზ-პრაგას შორის.

პრაგის ფოსტის სამართველო იუწყება: ოქტომბრის 4-დან ორშაბათს, და პარასკევს პარიზსა და პრაგას შორის საჰაერო დამოკიდებულება დაიწყება.

განცხადება.

ენევაში სამშაბათ დილით ნამდვილი საერთაშორისო შრომის ბიუროს ადმინისტრატიულ საბჭოს სხდომა მოხდება.

ახალი ამბები

ციხეების რევიზია. საპყრობილეთა ინსპექციის განკარგულებით დაინიშნა განსაკუთრებული სარევიზიო კომისია ციხეების სამეურნეო მდგომარეობის გამოსარკვევათ.

სოფლების ადმინისტრატიული გადამჯვნა. ველისციხის თემმა შუამდგომლობა აღძრა სიღაღის ერობის ზოგიერთი სოფლის თელავისა და ტფილისის სამაზრო ერობის ფარგლებში შეტანის შესახებ. სიღნაღის ერობამ ამ საქმის გამო მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს, დამ. კრებას და ერობათა კავშირის კომიტეტს და აუწყა მათ, რომ ასეთი გამიჯვნა სიღნაღის ერობის ინტერესებს ეწინააღმდეგებაო.

გიჟის აღდგენა. გორის ქალაქის თვითმართველობამ შინაგან საქმეთა სამინისტროს სთხოვა რათა ნება დაერთოდ მათ დანგრეულ ყაზარმების მასალით სარგებლობისა ქალაქის თვითმართველობის შენობის ასაგებათო.

ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება. სოფ. ქარელში გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.

წითელი ჯვრის საზოგადოება. წითელი ჯვრის გამგეობასთან დაარსდა მოწყალე დათაჯსაზოგადოება. საზოგადოებაში ოცი მოწყალე და შედის. წესდების დამტკიცებამდე თემმა გამოიძუშავა დროებითი დებულება. მოწყალე დებმა უნდა იკოდნენ სახელმწიფო ენა და უნდა დაემორჩილონ წითელი ჯვრის საზოგადოების წესდებას.

ცენტრალური საავადმყოფო. ქალაქთა კავშირის კომიტეტმა დაავალა მედიკო-სანიტარულ განყოფილებას გამოიკვლიოს საკითხი, თუ რამდენად შესაძლებელია სურამში ცენტრალურ კლიმატიურ სადგურის და მთელი რესპუბლიკისათვის ცენტრალურ საავადმყოფოს დაარსება.

შრომის სამინისტროს მუშათა დაზღვევის განყოფილება მუშაობს ამ ქამად: 1. 1920 წ. პირველ ნახევრის ფულის ანგარიშის შესადგენათ. 2. იმ სამრეწველოთა რაოდენობის გამოსარკვევათ, რომელზედაც გრცელდება ივნისის 23 კანონი მუშებისა და მოსამსახურეების უბედურ შემთხვევისაგან დაზღვევის შესახებ 3. დაზღვეულ მუშათა რიცხვის გამოსარკვევათ და სხვ.

სახალხო თეატრი. დღეს 7 ოქტომბერს ქართულ წარმოდგენების მმართველი წრის მიერ წარმოდგენილი იქნება «რევოლიუციის რიტრაჟზე.» ადგილების ფასი სახალხოა.

ხაბულტერი კურსები ალ. საათაშვილის პირველი ქართული ბუხალტერიის კურსები წელს დაამთავრეს: ჩიქოვანის ასულმა, ნ. მ.; სარიამ. თ. ნ.; სულუხიამ, მ. რ.; ტოგონიძემ, ლ. პ.; ვალიშვილმა, ა. გ.; ბილოხონიძემ, მ. მ.; ხუხუნაიშვილმა, მ. გ.; ჩხიკვაძემ, გ. ალ. ჩხიკვაძემ, პ. ალ.; იაშვილის ასულმა, ი. ა.; წითურიშვილმა, დ. მ.; რადლევსკიმ, გ. ი.; ქობალაძემ, პ. ვ.; მესერიძის ასულმა, მ. ი., კიკნაძემ, ვ. ს.; გვანცალაძისამ, ბ. ე.; ლალუაშვილის ასულმა, ე. ნ.; დოლიძემ. ლ. ა. ბელქანიამ, კ. ს.

პურის ღირსების გაუმჯობესება. მთავრობის თავმჯდომარის განკარგულების თანახმად ადმინისტრატიულ წესით 3 თვით დაეპატიმრეს წისქვილის მეპატრონენი იაკობოვი, დადახიანი, ალიხანოვი და ეგაიანი; ქალაქის კონტროლიორი სამოვიჩი და ტეხნიკურ განყოფილების უფროსი ბულიოტი. ზემოდ აღნიშნული პირები დაეპატიმრეს იმის გამო რომ პურის ღირსების გასაუმჯობესებლად სათანადო ზომები არ მიიღეს.

სომხეთზე თავდასხვის გამო

სომხეთის დიპლომატიურ მისიასთან არსებული სამხედრო წარმომადგენლობა ოქტომბრის 6 ტფილისში ლებულობდა მოხალისეებს და მათ სომხეთში წასასვლელ მოწმობებს აძლევდა.

— ოქტ. 6. მოხდა ტფილისში მცხოვრებ სომეხთა მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია ოსმალეთის ჯარების სომხეთზე თავდასხმის გამო პროტესტის გამოსაცხადებლად. დემონსტრაციაში მონაწილენი შეგროვდენ ვანქის ტაძართან. აქედან დემონსტრაცია დროშებითა და პლაკატებით სომხეთის დიპლომატიურ მისიისკენ გამოემართა. მათ აქ სომხეთის მდგომარეობის შესახებ სიტყვა უთხრა სომხეთის დიპლ. წარმომად. ბეგზადიანმა. შემდეგ დემონსტრაცია დამფ. კრებასთან მივიდა, სადაც გაიმართა მიტინგი. იქიდან დემონსტრანტები გაემართენ თავისუფლების მოედნისაკენ და შემდეგ უცხოეთის სახელმწიფოების მისიისკენ. პლაკატებს ეწერა: ძირს ომი, გაუმარჯოს სომხეთისა და საქართველოს კავშირს და სხვა.

— ოფიციალურად იუწყებიან. მტერმა სცადა ყარსის შემოვლით სოფელ ხარამ-ვართანზე თავდასხმა, მაგრამ რესპუბლიკის ჯარებმა შეაჩერა. დანარჩენ ფრონტიდან ოქტომბრის 5 ცნობები არ მოსულა. მობილიზაციით გაწვეულთა შორის დიდი აღფრთოვანებაა. კარაკლისში მობილიზაციით გაწვეულთა 60% უარი სთქვა ჯანმრთელობის შემოწმებაზე და განაცხადეს: ჩვენ უნდა შევასრულოთ ჩვენი მამულიშვილური მოვალეობაო.

ერობა

გურიის ერობაში.

— ერობის გამგეობამ დაამტკიცა ხაადგილმამულო ფონდის გამგის მიერ წარმოდგენილი შემდეგი პროექტი მიმდინარე წლის ღალის აკრების საქმის ორგანიზაციისა: საფონდო მიწის მოიჯარადრისაგან ღალა იღება ფულათ. ამ მიზნით საფონდო მიწები იყოფა 3 ხარისხათ. 1 ხარისხით იგულისხმება ის მიწები, რომლის ერთ ქცევაზე მოვა 30 ფ. სიმინდი; მე 2 ხარისხათ ისეთები, რომელზედაც მოვა 20 ფ. სიმინდი და მე-3-მეთ, რომელზედაც მოვა 10 ფ. სიმინდი. მოიჯარადრენი იხდიან 1 ხარისხის ერთ ქცევა მიწაზე ღალათ—900 მ., მეორეზე—600 მან. და მესამეზე—300 მან. თემების გამგეობებს ევალებათ გასული წლის მოიჯარადრეთა სიების შესწორება სააგრარიო კომისიებთან ერთად. თვითეულ სააგრარიო კომისიაში ინიშნება ერთი მეველე 2 თვით; მეველეს მოვალეობას შეადგენს ფულების აკრება; ფონდის გამგესთან დროებით (3 თვით) ინიშნება აგრეთვე ერთი საქმის მწარმოებელი. ამ ორგანიზაციისათვის საჭირო თანხა იხარჯება ფონდის გამგის მიერ მთავრობის კრედიტიდან.

— იმ თათბირში, რომელიც შესდგა მომარაგების სამინისტროში სასურსათო საქმის შესახებ, გამგეობის სახელით მონაწილეობა მიიღო გამგ. წევრმა შ. ჯოჯუამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა დაეცვა შემდეგი დებულებები: სურსათის დამზადების საქმე მაზრაში უნდა დარჩეს ადგილობრივი სამაზრო ერობის ხელში; ერობა გამოდის ამ შემთხვევაში როგორც მთავრობის რწმუნებული, სხვა რწმუნებული ან აგენტი მთავრობას ადგილობრივათ არ უნდა ყავდეს; მაზრიდან სურსათის გატანა ერობის გარეშე უნდა აიკრძალოს.

— გამგეობამ გადასწყვიტა ამ სამოსწავლო წლიდან გახსნას გურიაში ხუთი ახალი დაწყებითი სასწავლებელი. ეს სასწავლებლები უკვე გაიხსნა და დასამტკიცებლათ განათლების სამინისტროს წარედგინა.

— გამკეობის დადგენილებით გასულ სამოსწ. წელს ერობის ხარჯზე დაარსებულ 5 დაწყ. სასწავლებელში (თიანეთის, ახალსოფლის, წყალწმინდის, ონჭიკეთისა და ზოტის) ამ სამოსწავლო წლიდან დაარსდა მეორე კომპლექტები, რომელთა შესანახათ განათლების სამინისტროდან გამოთხოვილი იქმნა საჭირო კრედიტი.

— აგრ. შარაშიძე დაინიშნა მაზრის საერობო აგრონომათ.

— ერობის გამგეობამ საერობო უმაღლ.-დაწყ. სასწავლებლებში სწავლის ფულად დაწესა 1.200 მან. წელიწადში.

რკინის გზაზე

ხეთა-ზუგდიდის რკინის გზა.

ფოთისა და ბათომის ნავთ-სადგურებსა და ხეთა-ზუგდიდის რკინის გზაზე მუშაობის გასაცნობათ გაემგზავრა გზათა უწყების დეპარტამენტის დირექტორი ინჟენერი გვარამაძე.

შვებულებიდან დაბრუნება.

შვებულებიდან დაბრუნდა და თავის მოვალეობის აღსრულებას შეუდგა გზათა უწყების დეპარტამენტის დირექტორი ბ. ჭიჭინაძე. დირექტორი იღებს მთხოვნელებს ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით დილის $10^1/_2$ საათიდან.

ორი წლის ანგარიში.

რკინის გზის სამმართველომ გამოაქვეყნა რკინის გზის მოძრაობის შესახებ ორი წლის ანგარიშები. მიმდინარე წლის დასაწყისში სამგზავრო მატარებლები უფრო მეტი იყო, ვიდრე მშვიდობიანობის დროს. 1919 წ. მაისიდან 1920 წ. მაისამდი ჩვენი სამგზავრო მატარებელი ევლახამდი დადიოდა და აგრეთვე ამერიკის საქონელი მიქონდა გუმბრამდი. უცხოეთის ტერიტორიაზე მოძრაობისაგან ჩვენს სახელმწიფოს დიდი შემოსავალი ქონდა. 1919 წელში ორთქლ-მავლების იჯარით გაცემისაგან საქართველოს შემოსვლია 9 მილიონი მანეთი, უცხოეთის ტერიტორიაზე ჩვენი მატარებლების მოძრაობას მოუცია 55 მილიონი მანეთი.

სენატი

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის საადმინისტრაციო განყოფილების საკრებულოს სხდომაში 1920 წლ. 13 ოქტომბრისთვის დანიშნულია განსახილველად შემდეგი საქმეები:

(სხდომის გახსნა დილის 10 საათზე).

1. საჩივარი ტარასი და ევტიხი ბერიკაშვილებისა ქუთაისის მაზრის მიწის მიმღებ კომისიის მოქმედებაზე—ადგილის ჩამორთმევის შესახებ.

2. საჩივარი დარია ეგორ აბამელიკის ასულის და სხვა აბამელიკებისა მიწათ-მოქმედების მინისტრის დადგენილებაზე ცალ-ცალკე ნორმის დატოვების შესახებ ქვემო-სადმირში.

3. საჩივარი ქალაქ ტფილისის გამკეობისა რაზუმოვსკის ბინაში ოთახების რეკვიზიციის შესახებ.

4. საჩივარი აკოპ ნიკიტის ძე აივაზოვისა ქალაქ ტფილისის გამგეობის დადგენილებაზე მისი ბინის რეკვიზიციის შესახებ ოლქის სასამართლოს პროკურორისათვის.

5. საჩივარი ხონის ქალაქის გამგეობისა შესახებ ჩხენკელის სახლის რეკვიზიციისა ქალაქის საავადმყოფოს საჭიროებისათვის.

6. საჩივარი მიხეილ სულაძის, შალიკო განუგრავასი, ალექსანდრე ღულაძის, მარიამ ჭავჭანიძის, კონსტანტინე კახიანისა და სხვა მიწათ-მოქმედების სამინისტროს განკარგულებაზე მათ მიერ გაშენებულ სახაზინო სამოსახლო ადგილის შესყიდვის შესახებ.

პროვინციის ცხოვრება

ბორჯომი:

— ბორჯომის ქალაქის თვითმართველობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე მიაწოდონ ბორჯომს პური, ან და მას ნება დართონ და თვით ქალაქმა გამოიტანოს თავისივე საშუალებით პური მოსავლიან ადგილებიდან. მომარაგების სამინისტრომ ქალაქ ბორჯომის თვითმართველობის შუამდგომლობა დაეკმაყოფილა. გორში მყოფ სამინისტროს წარმომადგენელს ეცნობა, რომ ბორჯომს უფლება აქვს გაიტანოს გორის რაიონიდან მისთვის საჭირო პური.

— ბორჯომში არსებულ სახელმწიფოს პირველ სანატორიუმში ავადმყოფთა მიღება შეწყდა. საავადმყოფო ოქტომბრის 15 დაიხურება. შეკითხვებზე ადმინისტრაცია პასუხს არ გასცემს არავის.

სილნაღი.

— დიდმა წვიმებმა დააზიანა ჭუჩები. უფრო დაზარალდა ქალაქის ცენტრალური ადგილი. ისეთი ძლიერი წვიმა იყო, რომ დამოკიდებულება სილნაღსა და ახლო მდებარე სოფლებს შორის შესწყდა. ქალაქის თვითმართველობამ შუამდგომლობა აღძრა ქალაქთა კავშირის წინაშე აღმოუჩინოს მას დახმარება ჭუჩების შეკეთებაში.

ქუთაისი.

— მაზრაში ცარცვა-გლეჯა შესწყდა. ყაჩღების ბრბო, რომლის სათავეში სირბილაძე და ნანიკაშვილი იდგა, მოსპეს. სირბილაძე მოკლეს, ნანიკაშვილი დაჭერილია და საველე სასამართლოზე არის გადაცემული. სამაზრო ადმინისტრაციამ და განსაკუთრებით სამაზრო მილიციის უფროსმა ახლედიანმა დიდი ენერგია გამოიჩინა ყაჩღთა ბრბოს განადგურებაში.

— ქალაქში მეყასბეთა გაფიცვები გრძელდება. ქალაქის გამგეობამ ენერგიული ზომები მიიღო გაფიცვების შესაწყვეტად.

— თანახმად მთავრობის განკარგულებისა ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტალი ერობის ხელში გადავიდა. ჰოსპიტალთან იხსნება საავადმყოფო ერობის მოსამსახურეთათვის. აქვე გაიხსნა სამაზრო ცენტრალური აფთიაქის საწყობი.

(„ბ.")

ცნობები

გადამდებ სნეულებიან ავადმყოფთა შესახებ ქ. ტფილისში 1—30 ხექტემბრამდე 1920 წ.

		ტიფი									
		პარტერ-ული.	მუცლის	შეერეული	ყვავილი	წითელა	დიფტერიტი.	ჭუნთრუბა	დიზენტერია	ხოლერა	სულ
სწავლობენ ქალაქის პირველ საავადმყოფოში.	იყო 1 სექტემბერს	—	7	3	5	6	1	1	1	6	30
	მიღებულ იქმნენ	3	25	6	9	—	3	—	—	43	89
	გამოეწერა	1	13	5	3	6	3	1	—	25	57
	გარდაიცვალა	—	1	—	5	—	—	—	1	19	26
	რჩებიან 1 ოქტომბრ.	2	18	4	6	—	1	—	—	5	36
ტფ. 1 საგუბერნ. საბყრობილის საავადმყოფოში		—	—	8	—	—	—	—	—	—	8
წამლობენ სახლში		—	7	—	—	1	1	—	—	—	9
აღნუსხულია სულ ავადმყოფ.		3	32	14	9	1	4	—	—	43	106

ილორრული ნერილები

შამილის საიდუმლოება და ა. ვ. ორბელიანი.

(გაგრძელება)

1847 წლის დამდეგს, რუსებს შამილთან კახეთის გზით ომი მოუხდათ. ამ ომში, თან გაიყოლეს სამხედრო მსახური ალეკს. ორბელიანიც. ჯარი რომ კახეთში ჩავიდა, ალ. ორბელიანი თელავში დასახლდა და იქიდან ილებდა ომში მონაწილეობას. ეს გარემოება თურმე შამილმაც იცოდა, მაგრამ ორბელიანის ეს საქციელი მაინც არ სწყინდა, რადგანაც იცოდა რაშიც იყო საქმე. ერთ დღეს შამილს ორბელიანისათვის გამოუგზავნია მოციქული რომელსაც ორბელიანისათვის ძღვენი მოჰქონდა თურმე. ძღვენი ყოფილა სხვა და სხვა ნივთები, ორი თოფი, ანუ ყარაბინა და ორიც ლეკური. ეს მოციქული, ლეკი, ტყეში შეხვედრია ქართველებს, გაუჩერებიათ და უკითხავთ:

— ჩვენო ძმაო ლეკო, საით მიდიხარ შენ, ვისთან მიხვალ, შენ არ იცი, რომ აქეთ ლეკების სიარული საშიშია.

— ლეკს ასე უპასუხია:

— მადლობელი ვარ თქვენი, რომ მე არ მიჭერთ, მე მივდივარ თელავში, ეს ძღვენიც იქ მიმაქვს ორბელიანთან.

ქართველებმა ეს რომ გაიგეს, ლეკს დამეგობრება სთხოვეს და ცნობების გამოკითხვაც. მათ ასეთის მოპყრობით ლეკი თურმე მოხიბლეს. ბოლოს, რომ დარწმუნდენ ქართველები, რომ ლეკი ჩვენ ყველაფერს გვეტყვისო, ჭერე მას სხვა კილოთი დაუწყეს ლაპარაკი და უამბეს შემდეგი ცნობები:

— ორბელიანი ჩვენი ნათესავია, გუშინ ის თელავიდან ტფილისში წავიდა, ამიტომ შენ თელავში უბრალოთ მიდიხარ. ჩვენ გადმოგვეცი ეგ ძღვენი და ჩვენ გადავსცემთ მას, შენ-კი თავს უშველე, შენის ქვეყნისაკენ წადი, თორემ აქეთ თქვენებურ კაცს რუსები დაიჭერენ, შენც დაგიჭერენ და თან წაგიყვანენ.

ლეკმა დაუჯერა მათ და უთხრა:

— კარგი რომ მიხარით, მაშ მე აბა რალათ უნდა წავიდე თელავშ; ამ ძღვენს თქვენ გადმოგცემთ და რაკი ორბელიანი თქვენი ნათესავი ყოფილა და თქვენც ქართველები ხართ, მაშინ თქვენ გადაეცით მას. ყველაფერი და თან აუწყეთ ჩვენი დავალებაც.

ქართველებიც დასთანხმდენ, ჩამოართვეს ძღვენი და დაპირდენ, რომ გადასცემდენ მას დანიშნულებისამებრ. ლეკი უკან გახარებული დაბრუნდა. ლეკის მომტყუებელი პირები იყვნენ თურმე მართლა ქართველები, მაგრამ რუსეთისაგან მოსყიდული მოღალატენი, სამხედრო ჯაშუშები და ომის დროს ლეკებზედ მხვერავებათ გამოგზავნილნი.

ზ. ჭ.

ბანცხადებანი

დაიკარგა კვიტანცია № 457 მიღებული სამხედრო სამინისტროს ფეხსაცმელების სახელოსნოდან 1920 წ. აგვისტოს 2 ს გაუქმებულად ჩაითვალოს. 2952 3—2

დაიკარგა ტფილისის პირველი კერძო ლომბარდის ბარათი № 85061—180 მანეთის. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2994 3—2

დაიკარგა სამხედრო სამსახურის ნუსხა, იარაღის მოწმობა და პასპორტი ლეხაინდრაო ონოლის საზოგადოების მილიციონერ ანტონ გაბუნიას სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3—2 (უფ.)

დაიკარგა კვიტანციები და ქალაქის გამგეობის მოწმობა 1770 მიცემული ოქტომბრის 2-ს 1920 წ. მარიამ სოლომონის ასული დემურავის სახელზე ღვინო-გასტრონომიული მაღაზიის ვაჭრობის შესახებ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3004 3—2

დაიკარგა ატესტატი № 232, მიღებული ტფ. პირველ კომერციულ სასწავლებლიდან 1916 წ. და მეტრიკული მოწმობა № 2383, მიღებული ამიერ-კავკასიის შინტების სასულიერო სამმართველოდან—ნაგი მაშადი ალესკერ ოღლი ბაგიროვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3002 3—2

დაიკარგა ერთი რუსული ვინტოვკის და ერთი თათრული ვინტოვკის ნებართვები შაქარ პეპანაშვილის სახელზე, მიღებული შინაგან საქმეთა სამინისტროდან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3003 3—2

დაიკარგა პასპორტი № 285 ელენა სტეფანეს ასული იარალიანცის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3014 3—1

დაიკარგა ქუთაისის რეალურ სასწავლებლის 6 კლასის დამთავრების ატესტატი მე-7 დამატებითი კლასის დამთავრების მოწმობა მიხეილ გორგაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2976 3—3

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ქუთ. მილიციის უფროსისაგან და სამხედრო ნუსხა მიღებული ქუთ. მაზრის სამხედრო უფროსისგან რაფაელ მიხეილის ძე იაკობიშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2975 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი სასამართლოს ქუჩ. № 18 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის თამირიანცს გაუქმებულად ჩაითვალოს 2979 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი დიდიმთავრის ქუჩაზე № 79 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის პროცერს (ყოფილი რუკსის). გაუქმებულად ჩაითვალოს. 2989 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 13436 მიხეილ წულუკიძის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2981 3—3

დაიკარგა ხაშურის გიმნაზიის დამთავრების ატესტატი და მეტრიკული მოწმობის ასლი მიღებული სინოდალურ კანტორიდან ელიზბარ კონსტანტინეს ძე გველესიანის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2984 3—3

ქ. ტფილისის მე 14 და მე 15 სამომრიგებლო უბნების სასამართლოს ბოქაული ა. ა. გეგეჭკორი ამით აცხადებს, როს 14 ოკტომბერს 1920 წ. დილის 10 საათზე ტურგენევის ქუჩაზე (მე-9 კომისარიატი) სახლის № 4 ეზოში დანიშნულია საჯარო ვაჭრობით გაყიდვა ივანე სტეპნიაკის მოძრავი ქონების, რომელიც-შესდგება ხის ავეჯისაგან და აწერილია ტფილისის საოლქო სასამართლისაგან 28 თებერვეს 1920 წ. თარიღით № 21474, მიცემულ აღმასრულებელ ფურცლის ძალით ანა სტეპნიაკის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად. ქონება შეფასებულია 1760 მან. 2958 3—3

აქციზის სამმართველო აცხადებს რომ აქციზის ინსპექტორს საბაჟოსთან პ. ჯაფარიძეს დაუკარგავს საქციზო სამმართველოდან მიცემული ღია ფურცელი № 3033 მიწმობით რის ნაცვლადაც მას მიეცა სამმართველოდან ახალი ღია ფურცელი № 4476 დაკარგული ფურცელი გაუქმებულად ჩაითვალოს. 921 3—3

დაიკარგა ექვსი კლასის მოწმობა, № 331 მიღებული ქალთა მე 5 გიმნაზიიდან 1919 წ. ანგელინა იაკობიშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2957 3—3

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში პელაგია ზაქარიას ასულმა ლამაზაშვილმა შემოიტანა განცხადება, რომ მისი ქმარი ლევან ლაზარეს ძე ლამაზაშვილი, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1910 წ. უკვალოდ დაიკარგა 1912 წლიდან, რის გამო თხოულობს მისგან განქორწინებას. ყველა ვინც იცის დაკარგულ ლევან ლამაზაშვილის მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკის არსებულ კანონთა ძალით, განუცხადოს სამიტროპოლიტო სასამართლოს ზემოხსენებულ პირის მისამართი დღიდან ამ განცხადების დაბეჭდისა ორი თვის განმავლობაში. 2962 3—3

იოსებ იოსების ძე ტიკი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა დაბადების მოწმობა, მიღებული 1875 წ. მეტრიკული მოწმობა, მიღებული ქალ. ვაიბერტიდან (ბოგემია), პასპორტი, მიღებული ქალ. ვენიდან 1900 წ. და ჯვრის წერის მოწმობა იოსებ ტიკის და მარიამ ტიკის სახ.ლზე, მიღებული ეკატერინოდარში მიძინების ეკლესიიდან 1903 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2985 3—3

სახალხო გვარდიის მე 2 სამთო ბატარეის უფროსის მიერ დაკარგულია სახაზინო ბეჭედი „მე 2 სამთო ბატარეია სახალხო გვარდიის საარტილერიო ბრიგადა". ჩაითვალოს გაუქმებულად. 924 3—2

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში ალფრედ კარლის ძე შეპფმა შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი ალექსანდრა ნიკოლოზ ტიმოფეის ასული რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1904 წ. 21 ოქტომბერს, უკვალოდ დაიკარგა 1917 წლიდან, რის გამო თხოულობს მისგან განქორწინებას ყველა ვინც იცის დაკარგულ ალექსანდრა შეპფის მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკის არსებულ კანონთა ძალით, განუცხადოს სამიტროპოლიტო სასამართლოს ზემოხსენებულ პირის მისამართი დღიდან ამ განცხადების დაბეჭდისა ორი თვის განმავლობაში. 3012 3—1

დაიკარგა პასპორტი № 18635 იოსებ გიორგის ძე დოკმაჯიანის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3007 3—1

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი ნინო ავეტის ასული კორლანოვის სახელზე დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსისაგან 1906 წელს რეესტრით № 559 და სასულიერო ანდერძი გიორგი ალექსანდრეს ძე კორლანოვის სახელზე, შედგენილი ტფ. ნოტარიუსი მიტკევიჩისაგან და დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს მიერ 1915 წ. 18 მაის № 18402. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3011 3—1

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი ელენე დავითის ასული ჟორდანიას სახელზე დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფ. ნოტარიუსისაგან 1893 წ. რეესტრით № 70 გაუქმებულად ჩაითვალოს. 2894 1—1

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი რებეკა ბარუხ—ბენციას ასული პოგრებიჟსკაიას სახელზე, შედგენილი ტფ. ნოტარიუსი მაჭავარიანის მიერ 1917 წ. რეესტრით № 5754. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3013 3—1

ქ. ტფილისის მე-16 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ დავით ოვანესოვს ძე ალავერდიანცს მემკვიდრეებს, წარმოსადგენათ თავიანთი უფლებისა ვადაზედ, თანახმად 1241 მუხ. ძალ 1 ნაწ. 10 ტ. (კრებულ. სამოქ. საქ. გამოცემული 1887 წლ. 3016 1—1

აკრძალვა დადებული ანნა იაკოფის ასულის მელიქიშვილის ძამულზე რომელიც შეტანილია ქ. ტფილისის აკრძალვის-მუხლების კრებულში 1869-1872 წ. წ. №№ 400-799 საარტილერიო სექციის დადგენილებით ა. წ. 29 აგვისტოს თარიღით მოსპობილია. 2517 1—1

აკრძალვა ანნა იაკობის ასულის მელიქიშვილის მამულზე რომელიც შეტანილია ქ. ტფილისის აკრძალვის მუხლების კრებულში 1864-1867 წ. წ. №№ 1 399, საარტილერიო სექციის დადგენილებით ა. წ. 29 აგვისტოს თარიღით მოსპობილია. 2518 1—1

ტფილისის სასამართლო პალატის თავმჯდომარე თანახმად ს. დ. დ. 382 მუხ. აცხადებს, რომ ტფილისის სასამართლო პალატის ოლქის ნაფიც ვექილთა საბჭოს ა. წ. 28 მარტის 1920 წ. გარდაწყვეტილების ძალით ნაფიც-ვექილთა შემადგენლობაში ჩარიცხული არტურ ვასილის ძე სევანოვი. და ტფილისის სასამართლო პალატის დეპარტამენტთა საერთო კრებას ა. წ. 17 აგვისტოს დადგენილების მიხედვით შეტანილია იმავე პალატის არსებულ ნაფიც-ვექილთა სიაში დაფიცებულია მიღებულ წესით. 3009 1—1

დაიკარგა რუსეთის სატრანსპორტო და დამზღვევ საზოგადოების კვიტანცია № 76592 ი. ა. ლესტოვიჩის სახელზე ორი ნივთის ძიბარების შესახებ 1918 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3010 3—1

საქართველოს სახაზინო რკინის გზათა სამმართველო ამით აცხადებს საყოველთაოდ,

რომ ქვემოდ აღნიშნული გაუტანელი ტვირთი და უსაბუთო ტვირთი საჯაროდ გაიყიდება ცენტრალ საწყობში ამა წლის 29 ოქტომბერს დილის ათ საათზე და თუ დანიშნულ ვადაზე არ გაიყიდა, ხელმეორედ ვაჭრობა მოხდება ოქტომბრის 30 1920 წ.

ბათუმიდან—სანაინში № 35387 რიგ. № 272—1 ფ., სად ხლოდან—სანაინში № 15709 რიგ. № 277—3 ფ., ტფილისიდან—ბორჯომში № 110892, რიგ. № 276 გამხმარი საღებავი 1 ფ. 30 გ., ბათუმიდან—ნატანებში № 35038 რიგ. № 263 ცარიელი ყუთები 4 ფ., ბათუმიდან—ნიგოითში № 35512 რიგ. № 271 ცარიელი ყუთები 1 ფ., ქობულეთიდან—ნატანებში № 24110 რიგ. № 264 ცარიელი ყუთები 1 ფ. 25 გ. სალოღლიდან—ტფილისში № 3220 ცარიელი ყუთები 20 გ., სააინიდან—ტფილისში № 13330 რიგ. № 281 გვირგვინი რკინის 15 გ.; სურამიდან—ტფილისში № 20157 რიგ. № 283 აკვანი 15 გ.; ბორჯომიდან—ტფილისში № 14700 რიგ. № 284 ცარიელი კალათი 10 გ.; ბორჯომიდან ტფილისში № 14228 რიგ. № 286 ცარიელი ყუთი 1 ფ. 5 გ.; ახალ-სენაკიდან—ტფილისში № 73198 რიგ. № 287 ფიცარი 25 გ.; კალაჟერანიდან—ტფილისში № 76 რიგ № 288 კალათი 1 ფ.; ყარაიაზიდან—ტფილისში № 10673 რიგ. № 289 ცარიელი კალათი 27 გ.; ფოთიდან—ტფილისში № 87243 საოჯახო ნივთები 25 გ.; ერევნიდან ტფილისში № 5721 რიგ. № 291 ყუთი 1 ფ. 20 გ.; ერევნიდან—ტფილისში № 4718 რიგ. № 292 ლოგინი 1 ფ. 20 გ.; ალექსანდროპოლიდან—ტფილისში № 1571 რიგ. № 293 საოჯახო ნივთები; ქსანკიდან—ტფილისში № 16871 რიგ. № 294 ცარიელი ბიტონი 2 ფ.; მუხიანიდან ტფილისში № 12302 რიგ. № 295 ჯრაოტი 1 ფ. 13 გ.; ერევნიდან—ტფილისში № 4757 რიგ. № 296 საოჯახო ნივთები 7 ფ. 10 გ.; ბათუმიდან—ტფილისში № 36727 რიგ. № 287 საოჯახო ნივთები 3 ფ. 9 გ.; ერევნიდან—ტფილისში № 4755 რიგ. № 298 საოჯახო ნივთები 4 ფ. 15 გ.; ერევნიდან—ტფილისში № 4759 რიგ. № 299 საოჯახო ნივთები 5 ფ. 16 გ.; ერევნიდან—ტფილისში № 4758 რიგ. № 300 საოჯახო ნივთი 5 ფ. 17 გ.; ბორჯომიდან—ტფილისში № 14679 რიგ. 301 კასრი ცარიელი 5 ფ. 15 გ.

უსაბუთოები.

ნავთლულიდან—ტფილისში № 2254 რიგ. № 272 ცარიელი ყუთები 3 ფ. 7 გ.; ბათუმიდან— ტფილისში № 71251 რიგ. № 251 სხვა და სხვა საქონელი 601 ფ.; სამტრედიიდან—ტფილისში № 5406 რიგ. № 246 რკინეულობა 1 ფ. 25 გ.; ოქმი სად. ტფილისის № 2281 რიგ. № 250 ცარიელი ტომრები 1 ფ. 15 გ.; ხაშურიდან—ტფილისში № 33353 რიგ. № 262 ცარიელი კალათი 1 ფ. 25 გ.; სანაინიდან—ტფილისში № 11180 რიგ. № 279 ნიორი 15 გ.

925 3—1

საქართველოს სახაზინო რკინის გზათა სამმართველო ამით აცხადებს საყოველთაოდ,

რომ ქვემოთ აღნიშნული გაუტანელი ტვირთი საჯაროდ გაიყიდება ცენტრალ საწყობში ამა წლის 25 ოქტომბერს დილის ათ საათზე და თუ დანიშნულ ვადაზე არ გაიყიდა ხელმეორედ ვაჭრობა მოხდება ოქტომბრის 26-ს.

გრაკალიდან—ტფილისში № 6678 რიგ. № 249 ცარიელი კასრი გამგზავნი არსიევი—იგივე; მცხეთიდან ტფილისში № 10219 რიგ № 248 ცარიელი კასრები გამომგზავნი არსიევი მიმღები იგივე, ლანჩხუთიდან—ტფილისში № 9440 რიგ. № 257 საფანქრო მინები გამომგზავნი არსიევი—იგივე, ტფილისიდან—ხეთა № 609631 რიგ. № 252 ცარიელი ტომრები გამომგზავნი გაურკვეველია მიმღები მარღანია, ქარელიდან—ქუთაისში № 263375 რიგ. № 273 გამომგზავნი გაურკვეველია მიმღები იგივე ნოქატი, აჯიკაბულიდან—ნავთლულში № 4531 რიგ. № 256 ცარიელი კასრები გამომგზავნი გაურკვეველათ, სუფსიდან—ბორჯომში № 11762 რიგ. № 270 ცარიელი ბოთლები გამომგზავნი გაურკვეველად მიმღები კიკნაძე, ტფილისიდან—ბათომში № 614076 რიგ. № 302 ბორბლის ზეთი რატიანი მიმღები კოოპერატივთა კავშირი.

925 1—1